

თეა ბურჭულაძე

რომელიც წევრ-კავშირის რიცხვში შეთანხმების ერთი საკითხისათვის

სინტაქსის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წინადადების სინტაგმურ წევრთა შორის რიცხვში შეწყობა. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ როგორც კი განვიხილავთ სინტაქსურ ურთიერთობათა კონკრეტულ შემთხვევებს, საკითხი მყისვე სათანადო ჩარჩოებში ექცევა და ანალიზის კონტურებიც მკაფიოდება [აფრიდონიძე 2013: 54]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა წევრ-კავშირის რიცხვში შეწყობის საკითხი მისამართ წევრთან.

სალიტერატურო ქართულში **რომელიც** წევრ-კავშირი გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, კერძოდ, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში: „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, **რომელსაც** ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ.); „მე ის ფერები მიყვარდა, **რომელთა** შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს.); „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი ბელადისა, **რომელიც** ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან“ (ჯავ.).

ზოგადად, განსაზღვრებითი კავშირები მონაწილეობენ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში. ამგვარი წინადადება მთავარი წინადადების რომელიმე წევრის **გამლილ განსაზღვრებას** წარმოადგენს [ძიძიგური 1989: 216]. როგორც ცნობილია, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები წევრ-კავშირებია. ისინი ერთ-ერთ წევრად შედიან დამოკიდებულ წინადადებაში და ამავე დროს მთავრის დამოკიდებულთან დაკავშირების საშუალებაა [კვაჭაძე 2010: 4000]. სწორედ იმის გამო, რომ **რომელიც** წევრ-კავშირი წინადადების წევრია, სინტაქსურად ანგარიშს უწევს იმ წევრებს, რომლებსაც ის მიემართება. სინტაქსური კავშირი გამოიხატება იმაში, რომ ეს ნაცვალსახელი მთავარი წინადადების იმ წევრს ეწყობა რიცხვში, რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში – მთავარი წინადადების მისამართ სიტყვას (მას მოითხოვს გარკვეულ ბრუნვაში ზმნა-შემასმენელი, რომელთანაც ის

წყვილში შედის): **რომელიც** მოვიდა – შდრ. **რომელმაც** გადაწყვიტა, **რომელსაც** ელაგა, **რომლისკენაც** წავიდა, **რომლისთვისაც** საჭირო გახდა, **რომლითაც** მნიშვნელოვანი იყო, **რომლამდეც** მიაღწია... (დასტურდება ყველა ბრუნვაში, გარდა წოდებითისა). რიცხვში შეწყობის მაგალითები: რომელიც, რომელსაც – რომლებიც, რომლებსაც, რომელთაც: „რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ისეთი **ხელადისა**, **რომელიც** ყველაზე ადრე გარბის ბრძოლის ველიდან“ (ჯავ.); „მე ის **ფერები** მიყვარდა, **რომელთა** შეხავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს.); „ არ არის **ადამიანი**, **რომელსაც** არ უყვარდეს თავისი მამული“ (ილია); „მათ წინ მიუძღოდნენ შებორკილი **ტუსალები**, **რომელთაც** გარს შუბიანი ჯარისკაცები მილდედნენ: (გრიშ.).

როგორც აღინიშნა, **რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელი რიცხვში ანგარიშს უწევს მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელსაც მიემართება. მისი რიცხვში შეთანხმების საკითხი ასახსნელ წევრთან გარკვეულია და დადგენილია შესაბამისი ნორმები. კერძოდ, **რომელიც** წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვში შეეწყობა სათანადო წევრს, თუ:

1. ასახსნელი წევრი მრავლობითია (სულერთია, **-ებ** სუფიქსითაა ნაწარმოები ის თუ **-ნ**, **-თ** ბოლოსართით, სულიერია თუ უსულო).
2. ასახსნელი წევრი წარმოდგენილია ერთზე მეტი რიცხვითი სახელით, ან განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელით.
3. ასახსნელი წევრი ორ- და მეტცნებიანია [თოფურია 2005: 107].

ცხადია, თუ მთავარი წინადადების საზღვრული წევრი მხოლოლობითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელიც (რომელიც) მხოლოლობითშია. ზოგჯერ ერთგვარ წევრთაგან მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლოდ უკანასკნელს მიემართება და მხოლოლობითშია (როგორც მისამართი სიტყვა): „აქ იყვნენ ბარონესა და ბაბო გავლენიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაბრუნებულიყო თბილისს“ [კვაჭაძე 2010: 402-403]. ეს ის შემთხვევაა, როცა წევრ-კავშირი შინაარსობრივად მიემართება არა წარმოდგენილ ორ ქვემდებარეს, არამედ მხოლოდ უკანასკნელს – **ბაბო გავლენიშვილი**, **რომელიც** არ დაბრუნებულიყო თბილისს. მოყვანილ წინადადებაში **რომელიც** წევრ-კავშირი უკანასკნელ ქვემდებარეს იმიტომ შეეწყო მხოლობით რიცხვში, რომ ზმნაც მხოლობით რიცხვშია შეთანხმებული (**ბაბო** გავლენიშვილი

არ **დაბრუნებულიყო**). თუმცა მთავარ წინადადებაში რაკი ორი ქვემდებარეა, ზმნაც მრავლობით რიცხვშია დასმული – აქ **იყვნენ** ბარონესა და ბაბო გავლენიშვილი.

დასაზუსტებელია რიცხვში შეწყობის ისეთი შემთხვევები, როცა **რომელიც** წევრ-კავშირი სინტაქსურად მიემართება მთავარი წინადადების ისეთ ერთგვარ წევრებს, რომლებიც **ან-ან** მაცალკეებელი კავშირითაა წარმოდგენილი. როგორც ცნობილია, **ან-ან** კავშირი მიუთითებს იმაზე, რომ რამდენიმე შესაძლებლობიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, ან არჩევანი კეთდება ერთ-ერთზე, ან კიდევ ჩამოთვლაა ისეთი საგნებისა და მოვლენებისა, რომლებიც არ გამო-რიცხავენ ერთიმეორეს [კვაჭაძე 2010: 270-271]. ეს კავშირი გვხვდება როგორც შერწყმულ წინადადებაში, ისე რთულ ქვეწყობილში.

რომელ რიცხვში შეეწყობა **ან-ან** კავშირებით წარმოდგენილ წევრებს **რომელიც** წევრ-კავშირი? მხოლოდითსა თუ მრავლობითში? მაგალითად: ქალი ან კაცი, **რომელიც** მოვა – თუ ქალი ან კაცი, **რომლებიც** მოვლენ; დიდი ან პატარა, **რომელიც** მოვა – თუ დიდი ან პატარა, **რომლებიც** მოვლენ...

მხატვრულ ლიტერატურასა თუ მასმედიის ენაში ამგვარ კონსტრუქციების გამოყენებისას უმეტესად დადასტურდა **რომელიც** წევრ-კავშირის ერთგვარ წევრებთან მხოლოდით რიცხვში შეწყობის შემთხვევები: „თუ აღმოჩნდა შენს წიაღში, შენს ერთ-ერთ ქალაქში, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი, მოგცემს, **კაცი ან ქალი, რომელიც** ბოროტებას ჩაიდენს უფლის თვალში, დაარღვევს თავის აღთქმას“; „დარწმუნებული ვარ, მალე ამ ტრიბუნასთან იდგება **ქალი ან კაცი, რომელიც** კიდევ უფრო უკეთ გააგრძელებს პარლამენტის საქმიანობას“; „მაგალითად, ფრანგულ ურთიერთობაში მიღებულია ოჯახის „მეგობარი“ **ქალი ან კაცი, რომელიც** ცოლის ან ქმრის უსიტყვო ნებართვით მათ ბუდუარში დაიარება“; „სადამოს კი, გასართობად და დასასვენებლად გასულს, აუცილებლად შეგხვდება ვინმე, შორეული ნათესავი, ძველი **ნაცნობი, სკოლელი, ან მეგობრების მეგობარი, რომელიც** ირონიული ღიმილით გკითხავს, რას საქმიანობ და მერე ორიოდ წინადადებასაც მოაყოლებს ქალთა გააქტიურების შესახებ“ [ქეივი].

ვფიქრობთ, დასახელებულ შემთხვევებში **რომელიც** წევრ-კავშირი მხოლოდით რიცხვში უნდა შეეწყოს იმ წევრებს, რომლებსაც ის

მიემართება – ქალი ან კაცი, **რომელიც** მოვა; დიდი ან პატარა, **რომელიც** მოვა...

რა გვამღევეს იმის მყარ საფუძველს, რომ **რომელიც** წევრ-კავშირი მხოლოდობით რიცხვში შეეთანხმოს ამგვარ ერთგვარ წევრებს? **პირველი ფაქტორი** ისაა, რომ წარმოდგენილ წინადადებებში ერთგვარ წევრებში მოიაზრება არა ორი ან მეტი წევრი, არამედ ერთი. ამის განმსაზღვრელი თავად **ან-ან** მაცალკეებელი კავშირის ფუნქციაა – არჩევანი გაკეთდეს ერთ-ერთზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, ისინი არ გამორიცხავენ ერთიმეორეს. შდრ. **ქალი ან კაცი, რომელიც ამას შეძლებს** მიუთითებს იმაზე, რომ ორივეს, ქალსაც და კაცსაც, კი არა, არამედ ერთ-ერთს მიემართება აღნიშნული ქმედება თუ მოვლენა. ამისდაკვალად, წევრ-კავშირიც მხოლოდობით რიცხვში უნდა შეიწყოს სწორედ იმის გამო, რომ ის არა ორივე ერთგვარ წევრს, არამედ ერთ-ერთს მიემართება შინაარსობრივად და სინტაქსურად, ერთს განსაზღვრავს გარკვეული ნიშან-თვისებით.

მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ ისეთ შერწყმულ წინადადებაში, რომელშიც ერთგვარი წევრები **ან-ან, ანუ-ანუ** კავშირებითაა წარმოდგენილი, ზმნა-შემასმენელს მხოლოდობით რიცხვში შეიწყობენ, რადგან რამდენიმე შესაძლებლობიდან ერთ-ერთი უნდა შესრულდეს. შდრ.:

ქალი ან კაცი მოვიდა თუ მოვიდნენ?

გოგო ან ბიჭი მოვა თუ მოვლენ?

ამ სახის წინადადებებშიც მხატვრულ ლიტერატურასა თუ მასმედიის ენაში უმეტესად დასტურდება ზმნათა მხოლოდობით რიცხვში შეწყობის შემთხვევები: „ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვები ისმენენ ლაპარაკს მაშინ, როცა მას **მიმართავს დედა ან მამა**“; „ხშირად, როცა ოჯახი ინგრევა, **დედა ან მამა** ბავშვს შურისძიების საშუალებად **აქცევს** ხოლმე“; „რა გენაღვლევა ახლა, მუხებათუნ ჩემო, ერთი **გოგო ან ბიჭი** რომ **შემოგვემატოს**“; „20 წლის **გოგო ან ბიჭი** იშვიათად რომ ფულის ყადრზე **დაფიქრდეს**“; „ასევე აღმოსავლეთ საქართველოში ოჯახის უფროსი **ქალი ან კაცი** მეალილოეებს **გაუტანდა** შეძლებისდაგვარად ფულს, კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხვარ ღვეზელს“ (ქეკვი). იშვიათად გვხვდება მრავლობით რიცხვში შეწყობის შემთხვევებიც: „მერე ღმერთს რა პასუხს **მისცემთ ან შენ** და **ან დედაშენი**“ (ილია). თუმცა ამის მიზეზი შესაძლოა იყოს **ან-ან** მაცალკეებელ კავშირებს შორის ჩასმული **და** კავშირის ფაქტორი. რო-

გორც ჩანს, სწორედ **და** კავშირმა გადაწონა მაცალკეებელის ფუქცია (არჩევანი გაკეთდეს ერთ-ერთზე) და მაჯგუფებელი კავშირის მიხედვით მრავლობით რიცხვში შეიწყო ზმნა-შემასმენელი.

მაშასადამე, ამგვარი კონსტრუქციის წინადადებებშიც უპირატესობა ენიჭება ზმნა-შემასმენლის ერთგვარ წევრებთან მხოლოდობით რიცხვში შეწყობას. თუ წინადადების კონსტრუქცია ისეა აგებული, რომ ერთგვარ წევრებთან **ან-ან** მაცალკეებელ კავშირთაგან პირველს ან მეორეს ახლავს შემასმენელი (და არა ერთგვარი წევრების შემდეგ), მაშინ მაცალკეებელი კავშირებიდან შემასმენელი უახლოესს უწევს ანგარიშს: ან ბავშვი წავა, ან ბავშვის მშობლები; მაგრამ: ან ბავშვის მშობლები წავლენ, ან თვითონ ბავშვი... [კვაჭაძე 2010: 274].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უმეტეს შემთხვევაში განსაზღვრებით დამოკიდებულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მხედველობაში მიიღება არა მსაზღვრელის შინაარსი და ფუნქცია, არამედ სწორედ საზღვრული სიტყვა. ასეთ შემთხვევებში გააზრებულია ამ უკანასკნელის შინაარსობრივი მხარე და დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვა მის შინაარსთანაა შეხამებული – ამ გზით ვიღებთ მრავლობითი რიცხვის ფორმებს [კალაძე 1981: 234]. ასეთია ტრადიცია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ დასახელებულ შემთხვევებშიც სწორედ ანალოგიური ვითარება გვაქვს – შინაარსობრივად აქ ერთი პირს მიემართება მოქმედება და არა ორს. ამიტომაცაა საჭირო შემასმენლის მხოლოდობით რიცხვში შეწყობა. **შდრ. და-ძმა, რომლებიც, ორი ბავშვი, რომლებიც // ქალი ან კაცი, რომელიც, ბიჭი ან გოგო, რომელიც...** პირველ შემთხვევაში დასახელებული ტიპის კომპოზიტებში ორივე პირია შინაარსობრივად დაკავშირებული წევრ-კავშირთან და ამიტომაც მრავლობით რიცხვში შეეწყო ის (ისევე როგორც **და-ძმა – რომლებიც** ან **ორი კაცი – რომლებიც**). კრებითი სახელის, რიცხვითი სახელისა თუ სხვა სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებთან რამდენიმე პირი იგულისხმება. შესაბამისადაც შეიწყობს მრავლობით რიცხვს. ჩვენს შემთხვევაში კი, მართალია, ორი პირია წარმოდგენილი, მაგრამ წევრ-კავშირი შინაარსობრივად ერთ-ერთს მიემართება და არა ორივეს. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ ის მხოლოდობით რიცხვში უნდა შეეწყოს ასეთ წევრებს (უფრო ზუსტად, ერთ-ერთ ბოლო წევრს).

ანალოგიური იქნება მიდგომა ისეთ შემთხვევებშიც, როცა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მთავარი წინადადების

ერთგვარი წევრები **თუ** კავშირით არიან წარმოდგენილი და დამოკიდებული დაქვემდებარებულია **რომელიც** წევრ-კავშირით. ასეთ კონსტრუქციებშიც დაისმის წევრ-კავშირის ამგვარ წევრებთან რიცხვში შეწყობის საკითხი: ის **ქალი თუ კაცი, რომელიც** ამას შეძლებს – თუ ის **ქალი თუ კაცი, რომლებიც** ამას შეძლებენ... **თუ** კავშირის ზოგჯერ **და-**ს მნიშვნელობა აქვს, ე. ი. აჯგუფებს ერთგვარ წევრებს, ხან კი მაცალკევებელი კავშირია [კვაჭაძე 2010: 270-271]. ჩვენთვის საინტერესოა მისი გამოყენება მაცალკევებელი კავშირის ფუნქციით. რამდენადაც დასახელებულ წინადადებებში ერთგვარი წევრების დაცალკევებაა, აქაც მოქმედება, მოვლენა ერთ-ერთ წევრს მიემართება და არა ორივეს, არჩევანი კეთდება ერთ-ერთზე. ამიტომაც, ვფიქრობთ, **რომელიც** წევრ-კავშირი მხოლოდით რიცხვში უნდა შეეწყოს – ეს ის ქალი თუ კაცი იქნება, **რომელიც** ამას შეძლებს; ეს ის დიდი თუ პატარა იქნება, **რომელიც** მოვა... აქაც ასეთ მიდგომას ამყარებს **თუ** კავშირიან ერთგვარ წევრებთან ზმნა-შემასმენლის მხოლოდით რიცხვში შეწყობის ტრადიცია: „დიდის სასოებით **იყრის** მუხლს **ქალი თუ კაცი** შესავალ კარებში, მუხლს იყრის და შედის შიგ“; „ყოველი ვაშლოვნელი, **დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი გახარებული იყო** ქეთოს გონზე მოსვლით“; „უკაცრიელ ამინდში **დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი** როგორც ერთი **იდგა** თავის ღირსების და თავისუფლების დასაცავად“; „სქესთა შორის ომის (ჩვენს სინამდვილეში) ძირითადი ინიციატორი ვინ **არის, ქალი თუ კაცი?**“ [ქევიკი].

მაშასადამე, აღნიშნული კონსტრუქციის ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი გვაძლევს შემდეგი რეკომენდაციის დაშვების საშუალებას, კერძოდ: **რომელიც** წევრ-კავშირი მხოლოდით რიცხვში შეეწყობა სათანადო წევრს, თუ:

1. ასახსნელი სიტყვები ერთგვარი წევრებია და **ან-ან** მაცალკევებელი კავშირებითაა წარმოდგენილი.
2. ასახსნელი სიტყვები ერთგვარი წევრებია და **თუ** მაცალკევებელი კავშირებითაა წარმოდგენილი.

ამგვარი მიდგომა იმითაცაა გამართლებული, რომ იგი შეესაბამება **რომელიც** წევრ-კავშირთან ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეწყობის საკითხთა დადგენილ ნორმას. ამ შემთხვევებშიც (სწორედ) იმგვარივე პრინციპია გატარებული.

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2013 – შ. აფრიდონიძე, რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცამეტე, თბილისი.

კალაძე 1981 – ც. კალაძე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ საზღვრულთან, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეორე, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ქეიკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ძიძიგური 1989 – შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.

Tea Burchuladze

On the Issue of Agreement of the Member-Connector *romelic* “Which/That” in Number

Summary

Agreement of syntactic members of a sentence in number is one of the important issues in the field of syntax. The cases of agreement in number where the member-connector **romelic** is syntactically related to such homogenous members of the main clause that are presented with the disjunctive **an-an** need clarification. We think that in the said cases the member-connector **romelic** should be in the singular, e. g. *kali an qaci, romelic mova; didi an pațara, romelic mova*. In these examples just one member is meant that is conditioned by the function of disjunctive **an-an** – to choose one of them but they do not exclude one another. Therefore, the member-connector should be in the singular as it is related not to both homogenous members but to just one of them conceptually and syntactically defining it with certain characteristics. This perspective is

also supported by the fact that in a mixed sentence where homogenous members are presented with the connectors **an-an** or **anu-anu**, they agree with a predicate in the singular because out of several possibilities only one action should be carried out. The approach will be similar in the cases where the homogenous members of the main clause of a modifier are presented with the connector **tu** and another clause is subordinated by the connector **romelic**. Based on this, we can offer a recommendation: the member-connector **romelic** will be in the singular if 1) the related words are homogenous members and are presented with the disjunctive **an-an**; 2) the related words are homogenous words and are presented with the disjunctive **tu**.